განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი;

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზანია შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციების განსაზღვრა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველის თანაარსებობა უსაფრთხო და საიმედო გარემოში. აღნიშნულის მისაღწევად, აუცილებელია გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - შინაური ბინადარი ცხოველის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა.

ამჟამად ქვეყანაში არსებული ჰიპერპოპულაციის გათვალისწინებით, კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას. ამასთან, შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად, კანონპროექტი ითვალისწინებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სავალდებულო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცედურის შემოღებას.

ამასთანავე, კანონპროექტი მიზნად ისახავს შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში მოქმედი სუბიექტებისათვის: ვეტერინარული დაწესებულება, თავშესაფარი, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი, ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), საშენი, კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება და რეალიზატორი, საქმიანობის სტანდარტების დადგენას.

კანონპროექტის მიღებით მოწესრიგდება ისეთი საკითხები, როგორიცაა შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, ევთანაზია, მიზნობრივი და გეგმაზომიერი გამრავლება, რეალიზაციის პირობები, საარსებო გარემოს სტანდარტები.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა;

ვინაიდან საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, ასევე, ის ზოგადი პრინციპები, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს შინაურ ბინადარ ცხოველთა დაცვის სტანდარტს (ამჟამად რეგულირდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის წესებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო), აუცილებელია კანონის მიღება, რომელიც დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს (პატრონიანი, უპატრონო, მიკედლებული), დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, გადაადგილებისათვის დასაშვებ ნორმებს, მეპატრონეთა და მიმკედლებელთა

ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე, დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვის, ევთანაზიის, გამრავლებისა და რეალიზაციის პირობებს.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები;

კანონპროექტის მიღების შედეგად შეიქმნება შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა მიკვლევადობას, დაარეგულირებს ცხოველთა სამართლებრივ სტატუსებს (პატრონიანი, უპატრონო, მიკედლებული), დაადგენს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, მათ შორის, მათი მიტოვების აკრძალვას, ასევე, ცხოველთან ერთად გადაადგილების დასაშვებ სტანდარტებს, მეპატრონეთა და მიმკედლებელთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ასევე, მოწესრიგდება შინაურ ბინადარ ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვის, ევთანაზიის, გამრავლებისა და რეალიზაციის პირობები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი;

კანონის პროექტი შედგება 28 მუხლისა და ერთი დანართისაგან.

პირველი მუხლი განსაზღვრავს კანონის მიზანსა და ამოცანებს. მე-2 მუხლი ადგენს კანონის რეგულირების სფეროს, რომელიც მოიცავს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის, მიკვლევადობისა და პოპულაციების მართვის უზრუნველყოფას, ასევე, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებსა და მომსახურებასთან დაკავშირებული სუბიექტებისათვის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებს.

კანონის პროექტის მე-3 მუხლი წარმოადგენს ტერმინთა განმარტებას. მე-4 მუხლი განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითად პრინციპებს. მე-5 მუხლი კრძალავს ცხოველთა მიტოვებას და ამასთანავე, ადგენს ცხოველთა მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტურ წინაპირობებს.

კანონპროექტის მე-6 მუხლი განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს. მე-7 მუხლი აყალიბებს ცხოველის მეპატრონის ვალდებულებებს, მე-8 მუხლი კი ადგენს ზოგად მოთხოვნებს პატრონიანი ცხოველის საარსებო გარემოსადმი. მე-9 მუხლი აზუსტებს მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მეპატრონეთა ვალდებულებებს. მე-10 მუხლი განსაზღვრავს მიკედლების სამართლებრივ საფუძვლებს, ხოლო მე-11 მუხლი აწესებს მიმკედლებლის უფლებებსა და ვალდებულებებს.

კანონის პროექტის მე-12 მუხლი ჩამოთვლის ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტებს: ვეტერინარული დაწესებულება, თავშესაფარი, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფარი, ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტი (სასტუმრო), საშენი, კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულება. ხოლო, მე-13-მე-19 მუხლები ადგენენ აღნიშნული სუბიექტების საქმიანობის ფარგლებსა და შესაბამის სტანდარტებს.

კანონპროექტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს ცხოველთა მიკვლევადობის უზრუნველსაყოფად შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონულ

ბაზის მიზანს, ბაზაში შესატანი ინფორმაციის ჩამონათვალსა და რეგისტრაციის წესს. 21-ე მუხლი ადგენს პატრონიანი ძაღლისა და კატის გამრავლებისა და პოპულაციების მართვის წესებს, 22-ე მუხლი კი - უპატრონო/მიკედლებული ცხოველების (ძაღლი, კატა) მიკვლევადობის, ვაქცინაციისა და პოპულაციის მართვის წესებს.

კანონის პროექტის 23-ე მუხლი ჩამოთვლის ცხოველთა მიმართ არასათანადო და სასტიკი მოპყრობის საფუძვლებს. 24-ე მუხლი ადგენს ნორმებს, რომელიც დაცულ უნდა იქნას ცხოველი გასეირნების, მგზავრობისა და ღონისძიებებში გამოყენებისას. კანონპროექტის 25-ე მუხლი კრძალავს ევთანაზიას არაჰუმანური მეთოდებით და ადგენს მის საფუძვლებს. კანონის პროექტის 26-ე მუხლი ჩამოთვლის საქართველოს მთავრობის მიერ მისაღებ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს, 27-ე მუხლი კი - საქართველოს მთავრობის იმ დადგენილებებს, რომელიც შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონთან. 27-ე მუხლი ასევე, ადგენს გარდამავლ პერიოდში მეპატრონის, მიმკედლებლისა და ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების უფლება-მოვალეობებს. ხოლო, 28-ე მუხლი ადგენს კანონპროექტის ამოქმედების ვადებს. კანონპროეტის დანართით განსაზღვრულია მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლების ჩამონათვალი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში);

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებაში (კანონპროექტი არ არის ინიციირებული საქართველოს მთავრობის მიერ).

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება;

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტი ითვალისწინებს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის პრინციპებს, ცხოველთა მიტოვების აკრძალვასა და ცხოველთა მართვის სფეროში უფლებამოსილი ორგანოების კომპეტენციებს, მიზანშეწონილია აღნიშნული მუხლები ამოქმედდეს 2024 წლის პირველი ივლისიდან. ხოლო, იმდენად, რამდენადაც მეპატრონის, მიმკედლებლისა და ცხოველთა მართვის სფეროში მონაწილე სუბიექტების მიერ კანონით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მნიშვნელოვანწილადაა დაკავშირებული მთავრობის მიერ მისაღებ აქტებთან, მიზანშეწონილია აღნიშნული ვალდებულებები ამოქმედდეს შესაბამისი აქტების მიღების შემდეგ, კერძოდ 2025 წლის 1-ელი იანვრიდან. ხოლო, ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც დაკავშირებულია მისაღები აქტების საფუძველზე შესაბამისი ქმედებების განხორციელებასთან (მათ შორის, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია) მიზანშეწონილია ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ივლისიდან. რაც შეეხება, მიმკედლებლის ვალდებულებას, განახორციელოს მიკედლებული ძაღლის ანტირაბიული ვაქცინაცია, მიზანშეწონილია ამოქმედდეს 2027 წლის პირველი იანვრიდან. ამასთანავე, კანონპროექტი არ ითვალისწინებს კანონისთვის უკუძალის მინიჭებას.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას);

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

აღნიშნული კანონპროექტის საფუძველზე გაჩენილი ახალი უფლებამოსილებების აღსასრულებლად საჭირო ხარჯების დაფინანსება მოხდება როგორც მუნიციპალიტეტების ბიუჯეტიდან, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ მწირი საბიუჯეტო რესურსი - სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

კანონის პროექტი ითვალისწინებს ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაციას მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელსაც მართავს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სურსათის ეროვნული სააგენტო“. შესაბამისი საინფორმაციო-ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ხარჯის დაფინანსება მოხდება საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის (გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)) ბიუჯეტიდან. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი მონაცემთა ბაზა უკვე არსებობს ფერმერული ცხოველებისათვის, მოხდება აღნიშნულ ბაზაში შინაურ ბინადარ ცხოველთა მონაცემების ინტეგრირება.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

კანონპროექტის მიღება გავლენას მოახდენს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე, რადგან ხდება შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში სხვადასხვა ვალდებულებების დარღვევისათვის სანქციების შემოღება (მათ შორის, ფულადი). ზედამხედველობა/დაჯარიმებას მოახდენენ მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „სურსათის ეროვნული სააგენტო“ კანონით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში. ჯარიმებიდან შემოსავალი შეფასებულია და ასახულია „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის განმარტებით ბარათში.

დამატებით, შესაბამისი მუნიციპალიტეტების შესაბამისი სამსახურები მიიღებენ შემოსავლის სახით ფასიანი სერვისებიდან (შინაურ ბინადარ ცხოველთა (ძაღლი, კატა) იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, კასტრაცია-სტერილიზაცია, ვაქცინაცია და სხვ.) მოსალოდნელ შემოსავალს, ყოველწლიურად დაახლოებით 117,000.00 ლარის ოდენობით (რომლიდანაც დაახლოებით 45,000.00 ლარის შემოსავალი დღეისათვის უკვე გააჩნია მხოლოდ სსიპ თბილისის ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს). აღნიშნული თანხა დაანგარიშებულ იქნა თითოეული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობის, აგრეთვე, იმ პირთა რაოდენობის მიხედვით, რომელთაც ჰყავთ შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი, კატა). ფასიანი სერვისების ღირებულებას კი დაადგენენ თავად მუნიციპალიტეტები.

კანონის პროექტი ითვალისწინებს საშენის ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას, რომლის საფასურის ოდენობა შეადგენს 20 ლარს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური თითოეული საშენის ავტორიზაციისთვის ერთჯერადად მიიღებს 20 ლარის შემოსავალს.

ასევე, გათვალისწინებულია ვეტერინარული დაწესებულების, თავშესაფრის, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის, ცხოველთა დროებითი მოთავსების ობიექტის (სასტუმრო), საშენისა და კინოლოგიური/ფელინოლოგიური დაწესებულების საქმიანობის რეგულირება და შესაბამისი პირების რეგისტრაცია. რეგისტრაციის შემთხვევაში ერთჯერად შემოსავალს მიიღებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“,

კანონპროექტის მიღების შედეგად დასაქმდებიან პირები, რომლებიც გადაიხდიან საშემოსავლო გადასახადს, კერძოდ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში 2025 წელს მოსალოდნელია დაახლოებით 290,000 ლარის, ხოლო 2026-2028 წლებში დაახლოებით 305,000 ლარის დამატებითი შემოსავლის მიღება. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტს, 2025 წელს მოსალოდნელია 2,983,316.88 ლარის, ხოლო 2026-2028 წლებში 3,132,482.72 ლარის დამატებითი შემოსავლის მიღება.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

2024 წელს კანონპროექტის მიღების შემთხვევაში მოსალოდნელია მხოლოდ დაპროექტებისა და ნებართვების აღების სამუშაოების მოსწრება, რომელმაც ყველა მუნიციპალიტეტისთვის ჯამურად შესაძლოა შეადგინოს დაახლოებით 562,500 ლარი. აღნიშნული თანხა დაიფარება მუნიციპალიტეტების არსებული რესურსების ფარგლებში და არ გამოიწვევს დამატებით ხარჯებს. ხოლო, რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად საჭირო თანხებს, შესაბამისად, 2025 და მომდევნო წლებისათვის, გათვალისწინებული იქნება მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში ან სახელმწიფო ბიუჯეტში, კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში.

2025 წელს მოსალოდნელია კაპიტალური ხარჯები თავშესაფრის ინფრასტრუქტურის შექმნის, სატრანსპორტო საშუალებებისა და აღჭურვილობის შეძენის კუთხით. აღნიშნული მოიცავს 11 ახალი ინტერმუნიციპალური თავშესაფრის აშენებას და ერთის (ქუთაისის) გაფართოებას. თბილისის, გურჯაანისა და გორის თავშესაფრებში კაპიტალური ხარჯის გაწევა მოსალოდნელი არ არის, გარდა გურჯაანის თავშესაფრისათვის ერთი სატრანსპორტო საშუალების შეძენისა. თავშესაფრების რაოდენობის და ადგილმდებარეობის შერჩევა მოხდა შემდეგი პრინციპების თანახმად: თითოეულ რეგიონში შეირჩა გეოგრაფიულად ყველაზე მოქნილი ადგილმდებარეობის მქონე მუნიციპალიტეტი, რომლამდეც რეგიონის მუნიციპალიტეტების დასახლებული პუნქტებიდან ცხოველთა მიყვანა არ არის დაკავშირებულ განსაკუთრებულად დიდ ხარჯებთან, დაშორების მანძილის ოპტიმალურობიდან გამომდინარე.

თავშესაფრების რაოდენობის და ადგილმდებარეობის შერჩევის პროცესში, ასევე, გათვალისწინებულ იქნა მუნიციპალიტეტების დასახლებებში მოსახლეობის რაოდენობა,

იმდენად, რამდენადაც მიუსაფარ ცხოველთა რაოდენობა მაღალ დადებით კორელაციაშია ამ მონაცემთან მიმართებაში. აღნიშნული პროცესის ფარგლებში, ასევე, შეფასდა მეზობელი მუნიციპალიტეტების იმ მოსაზღვრე, მოქნილი ადგილმდებარეობის მქონე მუნიციპალიტეტთან მიკუთვნების საკითხი, სადაც უნდა აშენდეს თავშესაფარი, სატრანსპორტო ხარჯის შემცირების მიზნით.

აღნიშნული ანალიზის/ოპტიმიზაციის შედეგად ახალი თავშესაფრების განსათავსებლად შეირჩა შემდეგი მუნიციპალიტეტები (,,მუნიციპალური ცენტრები''): ბათუმი, ოზურგეთი, ზესტაფონი, დუშეთი, ამბროლაური, სენაკი, მესტია, ახალციხე, ახალქალაქი, რუსთავი და მარნეული.

2025 წლის ინფრასტრუქტურაზე გაწეული ჯამური კაპიტალური ხარჯის სავარაუდო შეფასებაა დაახლოებით 28,380,420.00 ლარი, სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული კაპიტალური ხარჯისა კი - დაახლოებით 3,510,000.00 ლარი. რაც შეეხება, აღჭურვილობის ხარჯის საპროგნოზო მაჩვენებელს, დაახლოებით 1,192,340.75 ლარს შეადგენს. საოპერაციო ტიპის ხარჯები მოსალოდნელია 2026 წლიდან, კერძოდ, 15-ივე ინტერმუნიციპალური თავშესაფრის მოსალოდნელი ჯამური საოპერაციო ხარჯი არის დაახლოებით 17,677,452.87 ლარი, ხოლო 2027 წლისთვის – დაახლოებით 18,476,483.31, რომლიდანაც თბილისის, გორის, ქუთაისის, რუსთავის და გურჯაანის მოსალოდნელი დაფინანსება ჯამურად შეადგენს დაახლოებით 8,202,064.68 ლარს. შესაბამისად, მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026 წელს მოსალოდნელია დაახლოებით 9,475,388.19 ლარის საოპერაციო ხარჯის დაფინანსება, ხოლო 2027 წელს იგივე მონაცემი შეადგენს დაახლოებით 10,274,418.63 ლარს, 2027 წელს კი დაახლოებით - 10,127,276.80 ლარს. აღნიშნული საოპერაციო ხარჯები მოიცავს მხოლოდ უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერას, ტრანსპორტირებას, კასტრაცია-სტერილიზაციას, ვაქცინაციას, მკურნალობას, ლეშის განკარგვასა და სხვა ოპერატიული სერვისების უზრუნველყოფას. რაც შეეხება, მიმკედლებლებისა და მეპატრონეების ზედამხედველობას გასეირნების, ტრანსპორტირებისა თუ სხვა ვალდებულებების შესრულების კუთხით, 2026 წელს საქართველოს მასშტაბით აღნიშნული მონიტორინგის უზრუნველსაყოფად მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მოსალოდნელია დაახლოებით 5,399,413.00 ლარის კაპიტალური ხარჯის დაფინანსება (ძირითადად, სატრანსპორტო საშუალებების შეძენა), ხოლო საოპერაციო ხარჯის სახით, დაახლოებით 9,645,025.53 ლარისა.

რაც შეეხება, ქვეყნის მასშტაბით საშენების ავტორიზაციის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელ ხარჯებს, 2026 წელს მოსალოდნელია დაახლოებით 4,259,008.00 ლარის კაპიტალური ხარჯის გაწევა, ასევე, დაახლოებით 4,180,987.90 ლარის ოდენობის საოპერაციო ხარჯის დაფინანსება. 2027 წელს ანალოგიური მაჩვენებელი (საოპერაციო ხარჯის დაფინანსება) დაახლოებით 4,390,037.29 ლარს შეადგენს.

ზემოხსენებული ფუნქციების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტების უფლებამოსილ ორგანოებში ეტაპობრივად მოხდება ახალი თანამშრომლების დამატება, კერძოდ, მუნიციპალურ თავშესაფრებში მოსალოდნელია დამატებით 410 ადამიანის დასაქმება, საშენის ავტორიზაციასთან და მონიტორინგთან დაკავშირებული ფუნქციების

შესასრულებლად მოსალოდნელია 444 ადამიანის დასაქმება. ახალ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის გასაწევი ხარჯების ოდენობა წლიურად საშუალო ვადიან პერიოდში შეადგენს დაახლოებით 13.4 მლნ ლარს, რომელიც დაიფარება მუნიციპალური და სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ კანოპროექტი ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მეპატრონისათვის ისეთი ხარჯების ანაზღაურებას, როგორიცაა შინაური ბინადარი ცხოველის მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა, ევთანაზია და ლეშის განკარგვა, გაიზრდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ გასაწევი ხარჯი. ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება მიმართვის რაოდენობაზე.

თავშესაფარი და მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებული ფუნქციები					
		2024	**2025**	**2026**	**2027**
კაპიტალური ხარჯი	**გეგმები და ნებართვები**	**562,500.00**			
	ინფრასტრუქტურის აშენება და მოწყობა		**28,380,420.00**		
	სატრანსპორტო საშუალებები		**3,510,000.00**		
	აღჭურვილობა		**1,192,340.75**		
საოპერაციო ხარჯი				**17,677,452.87**	**18,476,483.31**
შემოსავალი ფასიანი სერვისებიდან				**117,000.00**	**117,000.00**
კონტროლთან დაკავშირებული ფუნქციები					
		2024	**2025**	**2026**	**2027**
სულ კაპიტალური ხარჯი				**5,399,413.00**	**-**
საოპერაციო ხარჯი				**9,645,025.53**	**10,127,276.80**
შემოსავალი ჯარიმებიდან				**5,767,000.00**	**5,767,000.00**
საშენის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ფუნქციები					
		2024	**2025**	**2026**	**2027**
სულ კაპიტალური ხარჯი				**4,259,008.00**	**-**
საოპერაციო ხარჯი				**4,180,987.90**	**4,390,037.29**
შემოსავალი მომსახურებიდან და ჯარიმებიდან				**76,800.00**	**76,800.00**

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით;

კანონპროექტი არ ითვალისწინებს სახელწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა;

აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულ შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებს დამატებით მოუწევთ ხარჯების გაწევა, რათა შესაბამისობაში იყვნენ ახალ რეგულაციებთან (მაგ. როგორიცაა სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა, საწვრთნელი სივრცისა და

შესაბამისი ფართის გამოყოფა, რეგულარული გასეირნების უზრუნველყოფა, ვეტერინარული ზედამხედველობა და სხვა). გარდა ამისა, საშენი ვალდებული იქნება ერთჯერადად გაიაროს ავტორიზაცია შესაბამის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში და აიღოს ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გაცემის საფასურის ოდენობა შეადგენს 20 ლარს. შესაბამისად, გაიზრდება საშენის ხარჯიც.

იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც ჰყავთ შინაური ბინადარი ცხოველი და რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონის მოქმედება, გაეზრდებათ ხარჯი ისეთი სერვისებით სარგებლობისათვის, როგორიცაა ცხოველის იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია, კასტრაცია/სტერილიზაცია, ვაქცინაცია, ევთანაზია, ლეშის განკარგვა, მოვლა-პატრონობის შეუძლებლობის ობიექტური წინაპირობების დადგომის შემთხვევაში ცხოველის თავშესაფარში გადაყვანა. მეორე მხრივ, აღნიშნული ფასიანი სერვისებით სარგებლობისათვის გაწეული ხარჯი წარმოადგენს შესაბამისი დაწესებულებების შემოსავალს, რომელთა ნაწილი შეფასებულია წინამდებარე განმარტებითი ბარათის ბ.ბ. პუნქტში (დაახლოებით, 117,000 ლარი ყოველწლიურად). სავარაუდოდ, თანაზომად შემოსავალს მიიღებენ კერძო დაწესებულებები მათი სერვისების გაწევის შედეგად.

დამატებითი დასაქმების შედეგად ხელფასების წმინდა ოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად მოსალოდნელია 13.4 მლნ ლარის ოდენობით (მხოლოდ საჯარო სექტორში, გარდა კერძო სექტორში გაზრდილი დასაქმების ეფექტისა).თავშესაფრებში მოსალოდნელია დამატებით 410 ადამიანის დასაქმება, საშენის ავტორიზაციასა და მონიტორინგთან დაკავშირებული ფუნქციების შესასრულებლად კი - 444 ადამიანის დასაქმება.

დამატებით, 2024 წელს მოსალოდნელია 562,500 ლარის შემოსავლის მიღება საპროექტო კომპანიების მიერ.

კანონის პროექტი ითვალისწინებს მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის ყოლას 18 წლის ასაკიდან, ნასამართლობის, დანაშაულისთვის მსჯავრდების, ნარკოლოგიურ აღრიცხვაზე არყოფნის და ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ცნობებისა და კინოლოგიური დაწესებულებიდან მომეტებული რისკის ჯიშის ძაღლის მართვის თაობაზე შესაბამისი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე. შესაბამისად, მოიმატებს მიმართვიანობა აღნიშნული ტიპის ცნობებზე და შესაბამისი შემოსავალი დაგენერირდება ცნობის გამცემი ორგანოების ბიუჯეტში. ასევე, მოსალოდნელია კინოლოგიური დაწესებულებების მიერ კურსების მომზადება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და შემოსავლებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი.

თითოეული საშენი ვალდებული იქნება ამ კანონით დადგენილი წესით ერთჯერადად გაიაროს ავტორიზაცია შესაბამის მუნიციპალიტეტის უფლებამოსილ ორგანოში და აიღოს ავტორიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გაცემის საფასურის ოდენობა შეადგენს 20 ლარს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება;

ბავშვების საუკეთესო ინტერესები უპირატესად უნდა იქნეს გათვალისწინებული, დაცული უნდა იყოს მათი უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის უფლებები. წარმოდგენილი კანონპროექტით მკაცრდება ძაღლისა და კატის ვაქცინაციის, მათთან ერთად მგზავრობის წესები, რაც უზრუნველყოფს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობას. შესაბამისად კანონპროექტი დადებით ზეგავლენას მოახდენს ბავშვის სიცოცხლესა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტის ინიციატორის მოსაზრებით, კანონპროექტის მიღებით გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე ზეგავლენის მოხდენა მოსალოდნელი არ არის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონის პროექტის შემუშავების პროცესი დაიწყო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და გაგრძელდა საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტში. კანონპროექტზე მუშაობის პროცესში კომიტეტმა გამართა არაერთი კონსულტაცია როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ და საერთაშორისო

ორგანიზაცია/დაწესებულებებთან, მათ შორის, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასა (FAO) და ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან (NDI). ასევე, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან შეიქმნა სამუშაო ჯგუფი „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ კანონპროექტის ფარგლებში განსახორციელებელი სისტემური ცვლილების შესამუშავებლად.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ შინაურ ბინადარ ცხოველთა მეპატრონეები, მიმკედლებლები, შინაურ ბინადარ ცხოველთა უფლებებით დაინტერესებული პირები და შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების (შინაურ ბინადარ ცხოველთა საშენის, თავშესაფრის, საოჯახო ტიპის დროებითი თავშესაფრის, სასტუმროს, რეალიზატორის, ვეტერინარული და კინოლოგიურ-ფელინოლოგიური დაწესებულებების) წარმომადგენლები.

ამასთანავე, კანონის პროექტზე მუშაობის პროცესში გაიმართა არაერთი საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ „სურსათის ეროვნულ სააგენტოსა“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ „ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს“ წარმომადგენლებთან.

კომიტეტმა ასევე იმუშავა სსიპ საქართველოს პარლმენტის კვლევით ცენტრთან კანონის პროექტთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით და გამოითხოვა ინფორმაცია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ძაღლის/კატის ყოლაზე მეპატრონეთათვის რაოდენობრივი შეზღუდვის დაწესება, მიმკედლებელთა სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა, პოპულაციის მართვის პრიორიტეტული, ჰუმანური მეთოდების დანერგვა და ევთანაზიის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა.

იმდენად, რამდენადაც კანონპროექტზე მუშაობის პროცესში ერთ-ერთ ყველაზე პრობლემურ საკითხად გამოვლინდა შინაურ ბინადარ ცხოველთა ევთანაზია, კომიტეტმა შეისწავლა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობაში, საჯარო სივრცეში მეთვალყურეობის გარეშე დატოვებული შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღლი/კატა) ექვემდებარება ევთანაზიას თუ პატრონის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდება, ასევე ევთანაზიას ექვემდებარება პატრონიანი, მძიმედ დაავადებული ცხოველი, იმ შემთხვევაშიც, როცა პატრონი უარს აცხადებს ევთანაზიაზე:



კანონის პროექტის პროფესიული და ვეტერინარული კუთხით დასახვეწად გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციამ (FAO) გამართა არაერთი სამუშაო შეხვედრა ვეტერინარებისა და კინოლოგების მონაწილეობით. ასევე, კანონის პროექტზე თემატური და ფინანსური მოკვლევის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის - ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ დაქირავებულმა ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა.

ამასთანავე, კანონის პროექტზე მუშაობის პროცესში ეროვნულ დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ჩაატარა რაოდენობრივი და თვისობრივი სოციალური კვლევები, რომელმაც უფრო ცხადი გახადა პრობლემის აქტუალობა და საზოგადოების დამოკიდებულება უპატრონო ცხოველთა ჰიპერპოპულაციის მიმართ, კერძოდ 2022 წლიდან გაიზარდა მათი რიცხვი, ვისაც უსახლკარო ცხოველების პრობლემა აწუხებს. ამასთან, პატრონიანი ძაღლების უმრავლესობა კასტრირებული/სტერილიზებული არ არის. გარდა ამისა, გამოკითხულთა უმეტესობისთვის მისაღებია, რომ შინაური ცხოველების გამრავლება მხოლოდ სპეციალური ნებართვის მქონე საშენისთვის იყო ნებადართული.



დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში;

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) კანონპროექტის ავტორი;

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი.

საქართველოს პარლამენტის წევრები:

მაია ბითაძე, ხატია წილოსანი, სალომე ქურასბედიანი, არჩილ თალაკვაძე, გიორგი კახიანი, გიორგი ცაგარეიშვილი, გოდერძი ჩანქსელიანი, ალექსანდრე დალაქიშვილი, ნოდარ ტურძელაძე, გიორგი ხახუბია, ეკა სეფაშვილი, ქეთევან ჩარკვიანი, სალომე ჯინჯოლავა, ირმა ზავრადაშვილი, რამინა ბერაძე, შოთა ხაბარელი, ანზორ ბოლქვაძე, ბექა დავითულიანი, ზაზა ლომინაძე, ედიშერ თოლორაია, ანრი ოხანაშვილი, გურამ მაჭარაშვილი, ბექა ოდიშარია, ლევან ქარუმიძე.